

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი

2016 წლის ანგარიში

სარჩევი

აბრევიატურებისა და ცნებების განმარტებები.....	3
2016 წლის ანგარიში.....	4
1. ორგანიზაციული განვითარება	5
2. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება.....	12
3. კვალიფიკაციების განვითარება	21
4. საქართველოში და საზღვარგარეთ მიღებული განათლების დადასტურება (აღიარება, ნამდვილობა, აპოსტილი და ლეგალიზაცია)	23
5. სტუდენტთა მობილობა.....	27
6. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოება.....	27
7. ინტერნაციონალიზაცია.....	Error! Bookmark not defined.
8. პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა.....	29
9. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ინტერნაციონალიზაცია.....	Error! Bookmark not defined.
დანართი 1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრუქტურა	47
დანართი 2. უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.....	Error! Bookmark not defined.
დანართი N3 2015 წლის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს ცვლილებები	Error! Bookmark not defined.

აბრევიატურებისა და ცნებების განმარტებები

ა(ა)იპ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უსდ	უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ცენტრი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
BA	საბაკალავრო პროგრამა
BFUG	ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფი
EFQM	ხარისხის განვითარების ევროპული ფონდი
ENQA	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია
EQF	ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
MA	სამაგისტრო პროგრამა
MCA-G	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო
ME	ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა
Phd	სადოქტორო პროგრამა
UNDP	გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა

2016 წლის ანგარიში

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია (სსიპ), რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №89/ნ ბრძანების საფუძველზე, 2010 წლის 14 სექტემბერს სსიპ -აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა.

მისია

ცენტრის მისიაა საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხზე ორიენტირებული კულტურისა და მართვის პრაქტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების გაწევა და ქვეყნის განათლების სისტემის მიმართ ნდობის უზრუნველყოფა.

ხედვა

ცენტრის ხედვაა საქართველოში მიღებული განათლების ხარისხი სრულად პასუხობდეს ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს, ხოლო ქვეყანაში განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების სფეროში ცენტრი იყოს წამყვანი ინსტიტუცია, რომელსაც აქვს მაღალი ნდობა და აღიარება, როგორც ადგილობრივ, ისე - საერთაშორისო დონეზე.

საქმიანობის სფერო

ცენტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ასევე მონიტორინგს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებას. იგი მუშაობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების განვითარებაზე, დანერგვასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე. ცენტრი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას. ასევე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იგი მუშაობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწაზე; აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს და ახორციელებს სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას. საგანმანათლებლო დოკუმენტების

სანდოობისა და მიღებული განათლების სწავლის შედეგების სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი ახორციელებს საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარებას, ნამდვილობის დადასტურებას, ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებას. ასევე ამოწმებს განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის-დიპლომის ენობრივ სისწორეს. ცენტრი თანამშრომლობს საერთაშორისო და უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან და ჩართულია საერთაშორისო პროექტებში.

1. ორგანიზაციული განვითარება

2016 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრი ორიენტირებული იყო თავისი საქმიანობის შინაარსობრივ განვითარებასა და დახვეწაზე. ცენტრი ძირითადად შემდეგი ოთხი მიმართულებით მუშაობდა:

- ✚ ორგანიზაციული განვითარება;
- ✚ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა და პროცესების ინტერნაციონალიზაცია;
- ✚ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განვითარება;
- ✚ პროფესიული განათლების ხელშეწყობა.

1.1 ცენტრის სტრატეგიის განახლება

2016 წელს გაგრძელდა ცენტრის ახალ 2016-2020 სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა. ცენტრის ახალი სტრატეგია 2016 წლის დეკემბერში დამტკიცდა.

1.2 ცენტრში ხარისხის მართვის ევროპული მოდელის (EFQM) დანერგვა

გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2016 წელსაც გააგრძელა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) სრულყოფის მოდელის დანერგვა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიზანია, გახდეს EFQM-ის პარტნიორი საქართველოში.

1.2.1 EFQM განვითარების მოდელის დანერგვის პროცესი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით აგრძელებს პროფესიულ საგანმანათლებლო

დაწესებულებებში ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) სრულყოფის მოდელის დანერგვას. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებმაც 2015 წელს გაიარეს ვალიდაცია და მოიპოვეს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) აღიარება („ახალი ტალღა“, „ოპიზარი“, „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA“, „გეორგია“, „სპექტრი“) 2016 წელსაც აგრძელებდნენ პროექტების მომზადებას და ემზადებიან, რომ 2017 წელს მოიპოვონ მეორე დონის აღიარება. 2016 წელს EFQM მოდელის დანერგვა დაიწყო კიდევ ხუთმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებამ („აისი“, „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“, „ფაზისი“, „ბლექსი“, „იკარუსი“). აღნიშნული კოლეჯები EFQM ვალიდაციას 2017 წლის ბოლომდე გაივლიან.

1.2.2. ცენტრში განხორციელებული პროექტების ვალიდაცია

2016 წლის 18 აპრილს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) ვალიდატორი, ბატონი მარკ გარნიე სტუმრობდა. ვიზიტის მიზანი იყო ცენტრის მიერ EFQM-ის შიდა ხარისხის მართვის მოდელის დანერგვის შეფასება.

2016 წლის პირველ ივლისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) წარმომადგენელი დოქტორი სიუზან კალდმშიდტი და გერმანიის საერთაშორისო თანამეგობრობის საზოგადოების (GIZ) მენეჯერი იოჰან ტაისი ეწვივნენ. სტუმრებმა ცენტრის თანამშრომლებს EFQM-ის შიდა ხარისხის მართვის მოდელის დანერგვის წარმატებით დასრულება მიულოცეს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის სერტიფიკატი გადასცეს.

1.2.3. EFQM-ის დანერგვის მიზნით ტრენერთა მომზადება და მათი აკრედიტაცია

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიზანია, გახდეს EFQM-ის პარტნიორი საქართველოში და ხელი შეუყოს ხარისხის მართვის ევროპული მოდელის დანერგვას როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე კერძო სექტორში. სწორედ ამ მიზნით, ცენტრის მიერ კონკურსით შერჩეულ ექსპერტებს, ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) მოწვეული ექსპერტი, დოქტორი სიუზან კალდმშიტი 2016 წლიდან ეტაპობრივად უტარებდა ტრენინგებს.

ტრენინგები დასრულდება 2017 წლის დასაწყისში. ტრენინგების დასრულების შემდეგ ხარისხის მართვის ევროპული ფონდი (EFQM) გეგმავს შერჩეული ქართველი ექსპერტების აკრედიტაციას, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში, მათ EFQM-ის მიერ აკრედიტებული ტრენერის წოდება მიენიჭებათ.

1.3 განათლების ხარისხის ელექტრონული მართვის პროექტი

2016 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმადაც, მემორანდუმის საგანს წარმოადგენს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ავტომატიზაციის მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ელექტრონული სისტემის შექმნა.

ელექტრონული სისტემის მეშვეობით ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მთლიანი პროცესი განხორციელდება ელექტრონულად. სისტემის საშუალებით დაწესებულებები საავტორიზაციო/საკრედიტაციო განაცხადებსა და თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენენ ელექტრონულად, ექსპერტები დოკუმენტაციის შესწავლისას იმუშავებენ სისტემის შესაბამის მოდულში.

აღნიშნულის სისტემა ასევე მოიცავს საბჭოების მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მოდულს. საბჭოს წევრები ზეპირი მოსმენის გამართვამდე ელექტრონულ სისტემაში მიიღებენ, გაეცნობიან და შეაფასებენ საავტორიზაციო/საკრედიტაციო დოკუმენტაციას. ამასთან, ზეპირ მოსმენაზე საბჭოს წევრები ელექტრონული ფორმით ჩაატარებენ კენჭისყრას და თითოეული წევრი ვალდებული იქნება ელექტრონულ სისტემაში მიუთითოს მის მიერ დაფიქსირებული პოზიციის (კი ან არა) არგუმენტაცია. აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს საბჭოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ობიექტურობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას.

ელექტრონულ სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოდულს წარმოადგენს ექსპერტთა მოდული, სადაც გაკეთდება ექსპერტთა ბაზა მათი მუშაობისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მითითებით. ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს თითოეული ვიზიტის ობიექტურად, გამჭვირვალედ და ეფექტიანად დაგეგმვას. კერძოდ სისტემის მეშვეობით მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ექსპერტების მხრიდან აკრედიტაციის/ავტორიზაციის მამიებელ დაწესებულებასთან ინტერესთა კონფლიქტის რისკი, და უზრუნველყოფილ იქნება ექსპერტთა ჯგუფების ფართო სპექტრის კომპეტენციების მქონე წევრებისგან დაკომპლექტება. ასევე, ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება ექსპერტთა კორპუსში შემავალი ექსპერტების შეძლებისდაგვარად თანაბარი დატვირთვა.

1.4 ცენტრის სერვისების გაუმჯობესება

სერვისების გაუმჯობესების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი პერიოდულად ატარებს კვლევებს და კვლევის შედეგების გათვალისწინებით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. 2016 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი კვლევები: მისაღების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა.

1.4.1 მისაღების მომხმარებელთა კვლევა

2016 წელს, ცენტრის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა მისაღების მომხმარებელთა კმაყოფილების ყოველწლიური შესწავლა.

შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

უარყოფითი შეფასება

- ცენტრის მისაღები გარემო (ხმაური, მოსაცდელი სკამების დეფიციტი)
- პირველი ვიზიტისას სიტუაციაში გარკვევა
- ოპერატორების არასაკმარისი რაოდენობა

დადებითი შეფასება

- ოპერატორის მომხმარებლისადმი დამოკიდებულება
- პერსონალის ოპერატიულობა
- ოპერატორის ოპერატიულობა

მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის 10 აგვისტოდან საგანმანათლებლო დოკუმენტებს აპოსტილით დასამოწმებლად/ ლეგალიზაციისთვის იბარებს და გასცემს საქართველოს მასშტაბით მოქმედი იუსტიციის სახლები და ტერიტორიული სამსახურები, შენარჩუნდა ცენტრის დოკუმენტბრუნვის ზრდის ტენდენცია. ცენტრში შემოსული დოკუმენტბრუნვა გაიზარდა 2%-ით, ხოლო გასული - 6%-ით, რაც 2015 წელთან შედარებით მომხმარებელთა მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითებს.

მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ცენტრში შემუშავდა ქოლ-ცენტრის ახალი მოდელი. ქოლ-ცენტრში დასაქმდება სამი ოპერატორი და ერთი კოორდინატორი, რომლებიც თავად გასცემენ ამომწურავ პასუხებს მოქალაქეებს და აღარ განახორციელებენ ზარების გადამისამართებას. ქოლ-ცენტრის გამართულად ფუნქციონირებისთვის თანამშრომლებს ჩატარდათ ტრენინგები და დაინერგა სპეციალური პროგრამა, რომლითაც შესაძლებელი იქნება შემოსული ზარების მონიტორინგი. ქოლ-ცენტრის ახალი მოდელი ამოქმედდება 2017 წლის იანვრიდან.

2016 წელს დამუშავდა ცენტრის არქივში დაცული 2006-2012 წლების დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო-ტექნიკური ჯგუფის მიერ. მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტები დამუშავებულია საარქივო წესით, აღწერილია და შეტანილია ანაწერებში N1-N4 (სულ 5631 საქმე), არსებობს ანაწერის ელექტრონული ვერსიაც.

1.5 საკადრო პოლიტიკა

ცენტრი განაგრძობს საკადრო პოლიტიკის განვითარებასა და გაუმჯობესებას. ამ მიზნით თანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიმართულელებითაც.

1.5.1. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხები:

სამუშაო გარემო და პირობები - ყველაზე აქტუალურად დგას ოფისის გაფართოების საკითხი. რაც შეეხება სამუშაო საათებს, თანამშრომელთა აბსოლუტური უმეტესობა მიიჩნევს, რომ სამუშაო საათები სრულიად მისაღები და ადექვატურია.

ორგანიზაციული კულტურა და შიდა კომუნიკაცია - 30%-ზე მეტი ნეგატიური შეფასება მიიღო რამოდენიმე დებულებამ. კერძოდ კი - თათბირების ჩატარება - როგორც ორგანიზაციული მხარე, ასევე მისი სიხშირე. თათბირების ჩატარების მნიშვნელობა და აქტუალობა ასევე გამოიკვეთა ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგადაც. ასევე, პრობლემურია ცენტრის თანამშრომლების სტაბილურობის განცდა. რეკომენდირებულია ასევე დამატებითი ღონისძიებების გატარება შიდა კომუნიკაციის და გუნდური მუშაობის გაუმჯობესების კუთხით.

მმართველობა და ადმინისტრირება - რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა სტრუქტურის გაუმჯობესება. თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, ამ მიმართულებით ძირითადი გამოწვევაა გრძელვადიანი ხედვისა და გეგმების არ ქონა, ანდა თანამშრომლების აღნიშნულ საკითხთან ინფორმირების დაბალი დონე. რესპონდენტა 33% არ ეთანხმება დებულებას, რომ მათ მიიღეს შესაბამისი ანაზღაურება. ყველაზე დიდ ნაწილი კი მეტ-ნაკლებად ეთანხმება. თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად მთავარი სურვილები ეხება პრემიების ნათელი სისტემის დანერგვას და ასევე ანაზღაურების განსაზღვრავს არა პოზიციის დასახელებით არამედ დაკისრებული პასუხისმგებლობების შესაბამისად. ამ უკენასკნელ საკითხს კი ისევ სტრუქტურის გადახედვისაკენ მივყავართ.

თანამშრომელთა მოტივაცია - ცენტრის თანამშრომელთა 44% მიიჩნევს, რომ არ არსებობს კარიერული განვითარების ობიექტური გარემო, 39% კი თვლის რომ არ აქვთ პროფესიული ზრდის შესაძლებლობები და გარემო ვერ ქმნის მოტივაციის სათანადო პირობებს. ყველაზე პოზიტიური შეფასებები კი მიიღეს ისეთმა საკითხებმა, როგორებიცაა: ქვევიდან წამოსული ინიციატივების მიმართ მენეჯმენტის მიმღებლობა და ენთუზიათმით მუშაობა.

მუშაობის ეფექტიანობის გაუმჯობესების ხედვები - რესპოდენტებმა დაასახელეს ფაქტორები რომლებიც გაზრდიდა მათ ეფექტურობას. ესენია (პრიორიტეტების მიხედვით): კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, ანაზღაურების გაზრდა, ადამიანური რესურსების

მართვის გაძლიერება, მადლობის გამოცხადება / შესრულებული სამუშაოს დაფასება, დაწინაურების თვალსაჩინო სისტემა, მშვიდი სამუშაო გარემო, სტაბილურობის განცდა, დამატებითი ადამიანური რესურსები, ინიციატივების წახალისება, ხშირი შიდა შეხვედრები/თათბირები, პრემიების დაწესება, თიმბილდინგი, ოთახების გაფართოება, სასადილოს კეთილმოწყობა, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მივლინებები, გასვლითი ტრენინგები.

1.5.2 თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

2016 წელს შიდა აუდიტის სამსახურს ჩაუტარდა შემდეგი ტრენინგები:

- 1) ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (იუმს) აუდიტის ტრენინგი;
- 2) შიდა აუდიტის საფუძვლების ტრენინგი;
- 3) ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შიდა აუდიტორის ტრენინგი;
- 4) სისტემური აუდიტის ტრენინგი;
- 5) რისკის მართვის აუდიტის ტრენინგი;
- 6) ინფორმაციის მართვის აუდიტის ტრენინგი;
- 7) ეფექტიანობის აუდიტის ტრენინგი

აღნიშნული ტრენინგები ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურის აუდიტორებს დაეხმარება აუდიტორული შემოწმებების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით განხორციელებაში და ეფექტიანს გახდის შიდა აუდიტის მიერ რეკომენდაციების გაცემისა და მათი შესრულების მონიტორინგის პროცესს, ასევე საშუალებას მისცემს მათ, ყოველწლიურად განახორციელოს იუმს-ის აუდიტი საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

ადამიანური რესურსების სამსახურს ჩაუტარდა შემდეგი ტრენინგები:

- 1) პროფესიული განვითარების სემინარი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებთან დაკავშირებით.
აღნიშნული ტრენინგი ხორციელდებოდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მხარდაჭერით, შვედ კონსულტანტებთან ერთად.
- 2) ტრენინგი საჯარო მოხელეთა ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებზე.

შესყიდვების სამსახურმა გაიარა სახელმწიფო შესყიდვების კურსი, რამაც შესაძლებლობა მისცა შესყიდვების სამსახურის თანამშრომლებს, გაეღრმავებინათ ცოდნა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებით და ასევე გაცნობოდნენ საერთაშორისო გამოცდილებას ამ მიმართულებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ჩატარდა ტრენინგი რისკების მართვაში.

ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურს ჩაუტარდა შემდეგი ტრენინგები:

- 1) დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS-ს ახალი სტანდარტების პრაქტიკული კურსი;
- 2) ტრენინგი ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით, ჩაატარეს ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს აკადემიის წარმომადგენლებმა და მიზნად ისახავდა როგორც ცოდნის გაღრმავებას, ასევე საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.


1.6 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2016 წლის მონაცემებით, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით ცენტრში სულ შემოვიდა 86 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, შესაბამისად, უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებაც არ მიღებულა. ამჟამად წარმოებაშია 3 განცხადება.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დაკმაყოფილდა 78 განცხადება, ხოლო 3 განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან წარმოდგენილი საკითხების შესახებ ინფორმაციის ფლობა/დამუშავება სცდებოდა ცენტრის კომპეტენციის ფარგლებს.

1.7 ინფორმაციული უსაფრთხოება

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 11 მარტის №157 ბრძანებულების შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შესულია „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხაში“ და შესაბამისად, ახორციელებს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შემუშავების ღონისძიებებს.



სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 11 აგვისტოს №768 ბრძანებით დამტკიცდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი.

ცენტრის დირექტორის 2016 წლის 14 სექტემბრის №919 ბრძანებით დამტკიცდა ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გავრცელების სფერო. ამასთან, ცენტრის დირექტორის 2016 წლის 28 სექტემბრის №961 ბრძანებით დამტკიცდა ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის სამუშაო ჯგუფი.

ამჟამად მიმდინარეობს დაწესებულების ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გავრცელების სფეროში აქტივების მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები და რისკების მართვის სახელმძღვანელოს დოკუმენტზე მუშაობა.

2. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესები. ორივე პროცესი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმს და ვრცელდება განათლების სამივე დონეზე: ზოგადზე, პროფესიულსა და უმაღლესზე.

2.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია

2016 წლის მდგომარეობით საქართველოში 75 უმაღლესი, 92 პროფესიული და 2309 (მათ შორის 223 კერძო) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა (იხილეთ დანართი 2).

2.1.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 157 გადაწყვეტილება, მათ შორის, ავტორიზაცია მიენიჭა 120 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, უარი ეთქვა 7 დაწესებულებას, ავტორიზაცია გაუუქმდა 2 დაწესებულებას, კონტინგენტი გაეზარდა 14 დაწესებულებას, 3 დაწესებულებას უარი ეთქვა კონტინგენტის გაზრდაზე, წარმოება შეწყდა 8 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით და ცვლილება შეტანილ იქნა 2 გადაწყვეტილებაში (იხილეთ დიაგრამა 1).

2.1.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 52 გადაწყვეტილება, მათ შორის: ავტორიზაცია მიენიჭა 15 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, უარი ეთქვა 4 დაწესებულებას, ავტორიზაცია გაუუქმდა 1 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, წარმოება შეწყდა 10 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 22 გადაწყვეტილება, (იხილეთ დიაგრამა 1).


2.1.3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო: 43 გადაწყვეტილება, მათ შორის: ავტორიზაცია მიენიჭა 11 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, უარი ეთქვა 3 დაწესებულებას, ავტორიზაცია გაუუქმდა 1 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, კონტინგენტი გაეზარდა 5 დაწესებულებას, პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 16 გადაწყვეტილება, პროგრამის დამატებაზე უარი ეთქვა 1 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, წარმოება შეწყდა 3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით,


ძალადაკარგულად გამოცხადდა 1 გადაწყვეტილება, ცვლილება შევიდა 2 გადაწყვეტილებაში (იხილეთ დიაგრამა 1).

2.2 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია


საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მიიღო 140 გადაწყვეტილება, მათ



შორის: აკრედიტაცია მიენიჭა 120 საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციაზე უარი ეთქვა 20 საგანმანათლებლო პროგრამას. (იხილეთ დიაგრამა 2).



2016 წელს ყველაზე მეტი სააკრედიტაციო განაცხადი მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით შემოვიდა (იხილეთ დიაგრამა 3).



2.3 სააპელაციო საბჭო

სააპელაციო საბჭომ დასაშვებად ცნო და წარმოებაში მიიღო 2 განაცხადი: 1 საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და 1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ.

2.4 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება

2016 წლის განმავლობაში ცენტრმა აქტიურად იმუშავა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებისა და ცვლილებების მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით, ჩატარებული სამუშაოები მიზნად ისახავს უსდ-ებში განათლების ხარისხის

განვითარებას, სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველყოფა და სტუდენტის როლის გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. განხორციელებული ცვლილებები ასევე ეხმიანება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებით ასოცირების შეთანხმების 359 მუხლით გათვალისწინებულ რეკომენდაციებს, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში საქართველოს შემდგომი ინტეგრაციის ხელშეწყობასა და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG) ჰარმონიზაციას.

2016 წლის 19 თებერვალს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები. ცვლილებების შეეხო შემდეგ საკითხებს:

2.4.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილება

საკანონმდებლო ცვლილების შედეგად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

- ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება;
- ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამები;
- დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი;
- ე) სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები;
- ვ) კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებით საქმიანობა;
- ზ) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.

განახლებული სტანდარტები საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს უსდ-ების სიღრმისეული და სრულყოფილი ინსტიტუციური შეფასება, რაც ითვალისწინებს უსდ-ების მიერ მიღწეული შედეგების შეფასებასა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს.

განახლებული სტანდარტების დეტალური აღწერისა და ავტორიზაციის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საპროექტო. საპროექტო ჯგუფმა შეიმუშავა დოკუმენტის პროექტი, რომელში დეტალურად იქნა აღწერილი თითოეული სტანდარტი, სტანდარტის კომპონენტები შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებითა და ინდიკატორების/მტკიცებულებების მითითებით. შემუშავებული პროექტის განხილვის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, განათლების ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები.

განახლებული სტანდარტებისა და სხვა სისტემაში დაგეგმილი ცვლილებების განსახილველად 6 და 7 დეკემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და ევროსაბჭოს მხარდაჭერით სასტუმრო „ჰუალინგ თბილისში“ გაიმართა კონფერენცია „ცვლილებები უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში - განვითარებასა და შედეგზე ორიენტირებული მექანიზმების ხელშეწყობა“. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა ყველა უსდ-ს წარმომადგენელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემის წარმომადგენლები, ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, ავტორიზაციისა და სააპელაციო საბჭოს წევრები, ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტები. განხილვების შედეგები და რეკომენდაციები ასახულ იქნა უსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტების დოკუმენტის პროექტში.

2.4.2. საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსის ფორმირება

ცენტრი გეგმავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას. ამ მიზნით, ცენტრმა იმუშავა საერთაშორისო ექსპერტთა მოძიებასა და ბაზის ფორმირებაზე. მიზნით, ცენტრი დაუკავშირდა საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორებიცაა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA), ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ასოციაცია (ENQA), ასევე ევროპის სააკრედიტაციო სააგენტოებს, ევროპის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ინდივიდუალურ ექსპერტებს. ცენტრმა დამატებით მოიპოვა წვდომა სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, ევროპის კვლევითი საბჭოსა და Elsevier-ის ექსპერტთა ბაზებზე, რის შედეგადაც 2016 წელს 9 მიმართულების და კონკრეტული დარგების მიხედვით ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა 204 აკრედიტაციის საერთაშორისო ექსპერტი.

2.4.3. დარგობრივი საბჭოების ფორმირება

დარგობრივი სტანდარტების შექმნის, არსებული მახასიათებლების დახვეწისა და განახლების მიზნით, ცენტრმა 2015 წლის პირველი სექტემბრის №716 ბრძანებით დაამტკიცა „დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი“. დარგობრივი სტანდარტების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართვის უზრუნველსაყოფად, ცენტრმა 2015 წლის სექტემბერს და განმეორებით, 2016 წლის იანვრის თვეში მიმართა ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სამინისტროებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, მეცნიერებათა აკადემიას, განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და სხვა ინსტიტუციებს, დარგობრივი საბჭოების დაკომპლექტების მიზნით, წარმოედგინათ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი დარგის/სპეციალობის მიხედვით კანდიდატურები. ცენტრში დარგობრივ საბჭოში შესაყვანად წარმოდგენილი იქნა 641 კანდიდატურა. მოხდა აღნიშნული ინფორმაციის სისტემატიზაცია, კერძოდ განხორციელდა წარმოდგენილი კანდიდატურების შესაბამისი მიმართულებების,

დარგების, სპეციალობების მიხედვით აღრიცხვა. ინფორმაციის ანალიზის შედეგად, საჭირო გახდა ცენტრის დირექტორის №716 ბრძანებაში ცვლილებების შეტანა, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში დაინტერესებული მხარეების მიერ დარგში/სპეციალობაში საერთოდ არ იყო წარმოდგენილი კანდიდატურები, ან წარმოდგენილი იყო მცირე რაოდენობით, რაც ვერ უზრუნველყოფდა სრულყოფილი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებას. ამასთან, 2016 წლის თებერვლის თვეში დაინტერესებული პირების ჩართულობით განახლდა მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან ერთად გამოიყენება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში.

2.5. პირობითი აკრედიტაცია

საკანონმდებლო ცვლილებებით შემოღებულ იქნა პირობითი აკრედიტაციის ცნება. იმ შემთხვევაში, თუ მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ დააკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, მას მიეცემა არაუმეტეს 2 წლიანი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. აღნიშნული რეგულაცია შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში იმუშაოს მათ გამოსწორებაზე და პროგრამის განვითარებაზე. შესაბამისად, აკრედიტაციის პროცესი გახდება უფრო დახმარებასა და განვითარებაზე ორიენტირებული.

2.6. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვადის ცვლილება

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეიცვალა ავტორიზაციის და აკრედიტაციის მინიჭების ვადა, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავტორიზაცია ნაცვლად 5 წლისა, მიენიჭებათ 6 წლის ვადით, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამებს აკრედიტაცია - 7 წლით. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვადების მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულების/საგანმანათლებლო პროგრამის მიერ მიღწეული შედეგებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის შეფასების თვალსაზრისით. აღნიშნული ვადა ექსპერტებს შესაძლებლობას მისცემს შეაფასონ დაწესებულების სტრატეგიული გეგმის შესრულების ხარისხი და ამ დროის განმავლობაში გაზომონ საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის განვითარების მაჩვენებელი. ამასთან, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში განხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებების გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი და მოხდება მათი ხარისხის მუდმივი კონტროლისა და ხელშეწყობის მექანიზმების ამოქმედება.

2.7. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ადმინისტრაციული ვადების გაზრდა

არსებული პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების ვადა გაიზარდა 180 დღემდე (ნაცვლად 90 დღისა). აღნიშნული ცვლილება შესაძლებლობას მისცემს ყველა

დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტებს, სიღრმისეულად და სრულყოფილად გაანალიზონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშები, თანდართული დოკუმენტაცია და განხორციელდეს ეფექტიანი საავტორიზაციო ან სააკრედიტაციო ვიზიტები. შესაბამისად, თითოეული ადმინისტრაციული წარმოებისას სრულყოფილად იქნება გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება იქნება მიღებული მხოლოდ ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

2.8. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად დაშვებული ვადის ზრდა

საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, მონიტორინგის შედეგად თუ დაწესებულებაში გამოვლინდა ხარვეზები, დაწესებულებას აქვს 60 დღე (ნაცვლად 15 დღისა), რომ გამოასწოროს ისინი და წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საგულისხმოა, რომ, არსებული პრაქტიკის ანალიზის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, 15 დღიანი ვადის განსაზღვრა არ წარმოადგენდა ამ წარმოებაში ეფექტიან და ქმედით მექანიზმს. ცვლილება განპირობებული იყო დაწესებულებების ხელშეწყობისა და ხარვეზების გამოსწორებაში რეალური დაინტერესების მოტივით. შესაბამისად, მონიტორინგის შედეგების მიხედვით, თუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღმოჩნდება ხარვეზები, დაწესებულებას ექნება გონივრული ვადა (60 დღე), ნაცვლად 15 დღისა, რომ გაანალიზოს ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები და ცენტრში წარმოადგინოს ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2.9. გეგმიური მონიტორინგის სისტემის განვითარება

ცენტრის მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულების გეგმიური მონიტორინგის ეფექტური სისტემის დანერგვისა და რისკების ანალიზის მიზნით, ცენტრის თანამშრომლებს 2016 წლის 25-28 აპრილს რისკების მენეჯმენტში ჩაუტარდათ თრენინგი. აღნიშნული თრენინგის შედეგად, რისკების ანალიზის განხორციელებისთვის შემუშავდა შესაბამისი კრიტერიუმები და ინდიკატორები. შემუშავებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების დახმარებით, გაიწერა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გეგმიური მონიტორინგის განხორციელების სამოქმედო გეგმა.

2.10. ერთ წლიანი შეზღუდვის დაწესება საავტორიზაციო განაცხადის ხელახლა წარმოდგენაზე

ცვლილებების თანახმად, ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იურიდიული პირი უფლებამოსილია ცენტრს

საავტორიზაციო განაცხადი წარუდგინოს ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის შემდეგ. შესაბამისად, როდესაც დაწესებულებას ავტორიზაციის საბჭო ეუბნება უარს ან უუქმებს ავტორიზაციას, ახალი რეგულაციით, დაწესებულება 1 წლის განმავლობაში სიღრმისეულად გაანალიზებს ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული შენიშვნებს, რეკომენდაციებს და იზრუნებს მათ გამოსწორებაზე ან შესრულებაზე.

2.11. სააპელაციო საბჭოს შექმნა

საკანონდებლო ცვლილებების თანახმად, ავტორიზაციის და აკრედიტაციის სააპელაციო საბჭოს დაარსებით პირველად შეიქმნა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებების შინაარსობრივი გადახედვის მექანიზმი. შედეგად, საგანმანათლებლო დაწესებულებებს ექნებათ შესაძლებლობა საჩივარი წარადგინონ არა მარტო სასამართლოში, რომელიც უზრუნველყოფს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გადაწყვეტილებების მხოლოდ ფორმალურ-სამართლებრივი კუთხით გადახედვას, არამედ ორგანოში, რომელიც ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად არსებითად, შინაარსობრივად შეაფასებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს. სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით. მოცემული რეგულაცია გაზრდის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების მიერ შინაარსზე ორიენტირებული დასაბუთებული, კანონიერი, ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების რაოდენობას და განტვირთავს სასამართლო სისტემას.

2.12. ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიშის ფორმების ცვლილება

2016 წელს განახლდა ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიშის ფორმები. განახლებული ფორმების მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა მოახდინონ განვლილი 1 საანგარიშო წლის შეფასება, კერძოდ გაანალიზონ თითოეული სტანდარტის მიხედვით განხორციელებული ცვლილებები, შედეგები, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. ასევე, აღწერონ თვითშეფასების პროცესის მიმდინარეობა და მიუთითონ აღნიშნულ პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულები ან პირები. ასევე, განახლებული თვითშეფასებებში უმაღლესმა და პროფესიულმა სასწავლებლებმა უნდა მიუთითონ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ენა. დაწესებულებებმა თვითშეფასების ანგარიშებში უნდა ასახონ აქტიური, სტატუსშეჩერებული და სსსმ სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების/მოსწავლეების რაოდენობები.

3. კვალიფიკაციების განვითარება

3.1 ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და 2016 წელს მასში განხორციელებული

ცვლილებები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო არის დოკუმენტი, რომელიც საგანმანათლებლო/სასწავლო მიღწევების დონეებისთვის დადგენილი კრიტერიუმების, აღმწერების მეშვეობით ახდენს საქართველოში არსებული კვალიფიკაციების კლასიფიცირებას. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზანია ეროვნული კვალიფიკაციების ქვესისტემების ინტეგრირება და კოორდინირება და ასევე კვალიფიკაციების გამჭვირვალობის, კვალიფიკაციაზე დაშვების, პროგრესისა და კვალიფიკაციის ხარისხის გაუმჯობესება შრომის ბაზართან და სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაში. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს პრინციპებზეა აგებული. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ასევე მოიცავს საქართველოში არსებულ სწავლის სფეროების - მიმართულებას, დარგი/სპეციალობას, ქვედარგი/სპეციალიზაციას, პროფესიულ სპეციალიზაციას. ცენტრის მანდატია ჩარჩოში დაამატოს, ამოიღოს ან საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს სწავლის სფეროები.

2016 წლის განმავლობაში კვალიფიკაციათა ნუსხას დაემატა 3 დარგი/სპეციალობა - რელიგიის კვლევები, დემოგრაფია, კომპიუტერული ინჟინერია 1 ქვედარგი/სპეციალიზაცია კლინიკური ფარმაცია, 11 პროფესიული სპეციალიზაცია - სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი, თევზის მომშენებელ-ოპერატორი, სამგანზომილებიანი განათების და ვიზუალიზაციის სპეციალისტი, სამგანზომილებიანი მოდელირების და ტექსტურიერების სპეციალისტი, ელექტროამმრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ტექნიკოსი, ჰიდროტექნიკური მშენებლობის ტექნიკოსი, ტრიკოტაჟის მქსოველ-ოპერატორი, პიანისტ-აკომპანიატორი, მუსიკის რეპეტიტორი, მეხილეობა (კურკოვანი კულტურები/თესლოვანი კულტურები/კაკლოვანი კულტურები), მეცხოველეობა (მესაქონლეობა);

2016 წელს ნუსხიდან ამოიღეს 169 პროფესიული სპეციალიზაცია;

3.2 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარება

ცენტრი ახორციელებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარებისა და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ევროპულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისი ერთიანი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის შემუშავებას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს გათვალისწინებით, შემუსავებული ჩარჩოს პროექტი ეფუძნება

ევროპის კვალიფიკაციების ორ მეტა ჩარჩოს - „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო“ - (QF-EHEA) და „კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის“ (EQF-LLL). ახალი კვალიფიკაციების ჩარჩო დამტკიცების შემდეგ ხელს შეუწყობს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლას, განათლების ხარისხის, საერთაშორისო დონეზე კვალიფიკაციების თავსებადობას, შესადარობასა და გამჭვირვალობას, მობილობას კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების ურთიერთალიარების პროცესს. 2016 წელს დასრულდა ახალი ჩარჩოს პროექტის განხილვები დაინტერესებულ მხარეებთან - უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დარგობრივი სამინისტროებთან, დამსაქმებლებთან, დარგობრივ ასოციაციებთან.

„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტის და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის, არსებულ ჩარჩოში არსებული ე.წ „ჩიხების“ აღმოხვრის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ახალ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე. კანონპროექტზე მუშაობა დასრულდა 2016 წელის ბოლოს. აღნიშნული კანონპროექტის პარლამენტის მიერ მიღების საფუძველზე განხორციელდება ცლილებები ზოგადი განათლების შესახებ, უმაღლესი განათლების და განათლების ხარისხის განვითარების შესახებ კანონებში.

3.3 განათლების მიმართულებების (სფეროების) ჩამონათვალი (კლასიფიკატორი)

2016 წელს დასრულდა „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან. შეგახსენებთ, რომ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“ შემუშავდა საქართველოში არსებული სწავლის სფეროების, იუნესკოს კლასიფიკატორის - ISCED- F 2013 და სახვადასხვა ქვეყნის განათლების კლასიფიკატორების, საერთაშორისო განათლების სფეროების, სიტემების და კვალიფიკაციების ანალიზის საფუძველზე. „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ პროექტი ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას, კლასიფიკატორით დადგენილ ფართო, ვიწრო და დეტალური სფეროების მიხედვით. 2016 წელს დასრულდა „სწავლის სფეროების კლასიფიკატორში“ საქართველოში არსებული პროფესიული სწავლის სფეროების კლასიფიცირება, რომელიც განთავსდა შესაბამისი დეტალური სფეროს ქვეშ, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სწავლის სფეროებთან ერთად. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება და პროფესიული სწავლის სფეროს ფორმირება, რომელიც არღარ იქნება დასაქმების პოზიციის დასახელება, როგორც ეს არის მოქმედ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში (ბრძანება N120/ნ). 2016 წლიდან არსებულ ჩარჩოში, დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე ხორციელდება პროფესიული სპეციალიზაციების დამატება (58 პროფესიული სპრციალიზაცია, რომელიც შევიდა ჩარჩოში). პროფესიული სწავლის სფეროების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო პროფესიული

კვალიფიკაციების გამსხვილებას, რაც უზრუნველყოფს ხარისხზე ორიენტირებულ პროფესიული განათლების არსებობას საქართველოში.

3.4 არაფორმალური განათლების აღიარება

2016 წელს არაფორმალური განათლების აღიარების სამუშაო ჯგუფმა MCA-G

პროექტის "პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის" მხარდაჭერით

განაახლა ევროპის განათლების ფონდის (ETF) მხარდაჭერით, არაფორმალური განათლების აღიარების კონცეფციის საფუძველზე შეიმუშავა „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესის“ პროექტი და აღიარების სახელმძღვანელო. ახალი წესის პროექტი დაეფუძნა საერთაშორისო დონეზე არსებულ მეთოდოლოგიას, რომელიც გულისხმობს არაფორმალური განათლების აღიარების ოთხ ეტაპს:

- იდენტიფიცირება - არაფორმალური განათლების აღიარების საჭიროების, კომპეტენციების, სწავლის შედეგების იდენტიფიცირება;
- დოკუმენტირება - დოკუმენტების შეგროვება მტკიცებულებებთან ერთად;
- შეფასება - სწავლის შედეგების შეფასება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით;
- სერტიფიცირება - სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება სერტიფიკატით.

2016 წლის ბოლოს ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე განხორციელდა არაფორმალური პროფესიული განათლების პილოტირება მე-3 საფეხური სამ პროფესიულ სპეციალიზაციაში - „მეფუტკრე“, „აიტი ტექნოლოგია“ და „აგრარული ტექნიკის ოტერატორი“. პილოტირებაში ჩაერთო 9 პირი, რომელსაც ნაწილობრივ დაუდასტურდათ პროფესიისთვის საჭირო ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. დადასტურდებულ სწავლის შედეგების საფუძველზე მათზე გაიცა არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ ცნობა. პილოტირების მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები აღიარების წესის პროექტსა და აღიარების სახელმძღვანელოში. ცენტრის მიერ დასრულებული „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესის“ პროექტი მომზადდა ინიცირებისთვის მისი დამტკიცების მიზნით.

4. საქართველოში და საზღვარგარეთ მიღებული განათლების დადასტურება (აღიარება, ნამდვილობა, აპოსტილი და ლეგალიზაცია)

4.1 უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს უცხოეთში მიღებული განათლების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებას, ადასტურებს დევნილების ან ლიკვიდირებულ/საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული პირების განათლების მიღების ფაქტს. ცენტრი ახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებასაც.

2016 წელს ცენტრში შემოვიდა **9027** განცხადება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით; **397** განცხადება უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით; **575** განცხადება ლიკვიდირებულ და საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით ან დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარების თაობაზე; **22** განცხადება ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე; **5** განცხადება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მოთხოვნით;

ცენტრში შემოსული განცხადებების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მომზადდა: უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების **7886** დოკუმენტი, **147** უარი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე; **523** გადაწყვეტილება განათლების მიღების ფაქტის დადასტურების/დადასტურებაზე უარის თქმის თაობაზე; **14** გადაწყვეტილება ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე; **558** ცნობა უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ; **5** ბრძანება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შესახებ;

4.2 საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურება

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას, კერძოდ, ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტებსა და მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან.

2016 წელს ცენტრში საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების თაობაზე წარმოდგენილ იქნა **3900** დოკუმენტი, **3700** დოკუმენტთან დაკავშირებით დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება.

4.3 საგანმანათლებლო დოკუმენტის ლეგალიზაცია და აპოსტილით დამოწმება

2016 წლის 10 აგვისტოდან, დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების/ლეგალიზაციის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება გადაეცა სახელმწიფო სერვისების

განვითარების სააგენტოს. შესაბამისად, საქართველოში გაცემული ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებასთან დაკავშირებით განხილულ იქნა 2646 განცხადება. აქედან, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში გაიგზავნა 2276 დოკუმენტთან დაკავშირებით დადებითი დასკვნის პროექტი, ხოლო, 370 დოკუმენტთან დაკავშირებით უარყოფითი დასკვნის პროექტი.

2016 წლის 10 აგვისტომდე ცენტრი წარმოადგენდა საგანმანათლებლო დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებაზე/ლეგალიზაციაზე უფლებამოსილ სუბიექტს. აპოსტილისა და ლეგალიზაციის მომსახურებაზე მომხმარებელთა ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გამარტივებისათვის 2016 წლის 10 აგვისტოდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემულ საგანმანათლებლო დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების/ლეგალიზაციის ფუნქცია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაეცა. თუმცა სააგენტო ამ ფუნქციას ცენტრის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს. აპოსტილით დამოწმებისათვის/ლეგალიზაციისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის N93/ნ - N170 ერთობლივი ბრძანებით განისაზღვრა.

ცენტრის მიერ საქართველოსა და საზღვარგარეთ მიღებული განათლების დადასტურება ხელს უწყობს ქართველი და უცხოელი სტუდენტების საერთაშორისო მობილობის პროცესს, განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციასა და მულტიკულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების პროგრამის ფარგლებში 2016 წლის განმავლობაში სწავლის უფლება მიენიჭა საქართველოს და უცხო ქვეყნის 3454 მოქალაქეს.

2016 წლის 3 ნოემბერს განხორციელდა ცვლილებები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების წესში“. ცვლილებების შედეგად ერთმანეთისაგან გაიმიჯნა საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და საქართველოში მიღებული განათლების აღიარების პროცედურები. ამასთან, განხორციელდა ნამდვილობის დადასტურებისა და განათლების აღიარების პროცედურების სრულყოფა, განისაზღვრა ლიკვიდირებულ/საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარებისა და უცხოეთში, დისტანციური ფორმით მიღებული განათლების

ალიარების წინაპირობები, დაზუსტდა საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის მიზეზები.

4.4 ENIC-NARIC-ის ყოველწლიური შეხვედრა ნიდერლანდებში

ცენტრმა მონაწილეობა მიიღო 2016 წლის 18-22 ივნისს ნიდერლანდების სამეფოში, ქ. ამსტერდამში ჩატარებულ ენიკ-ნარიკის ქსელის 23-ე ყოველწლიურ შეხვედრაში.

ყოველწლიური შეხვედრებს ქსელის წევრი ყველა ქვეყნის წარმომადგენელი ესწრება და 3 დღის განმავლობაში მონაწილეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ქვეყანაში არსებულ ალიარების საუკეთესო პრაქტიკას, განიხილავენ ქვეყნებს შორის სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის პრობლემებს, მსჯელობენ ალიარების სფეროში ახალი გამოწვევების შესახებ.

მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ ნიდერლანდების სამეფოს განათლების სისტემას და მიეღოთ ინფორმაცია უცხოელი სტუდენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

ენიკ-ნარიკის ქსელის წლევეანდელი შეხვედრის მთავარი თემა ლტოლვილების მიერ მიღებული განათლების ალიარება იყო. შეხვედრაზე განხილულ იქნა ლტოლვილების მიერ მიღებული განათლების ალიარების თაობაზე ევროპის რამდენიმე ქვეყნის პრაქტიკა. ალიარებისა და ზოგადად, ახალ კულტურაში ინტეგრაციისა და თავის დამკვიდრების მთავარ წინაპირობად მიძღები სახელმიფოს ენის შესწავლა დასახელდა. ლტოლვილთა განათლების ალიარების თვალსაზრისით ჰოლანდიისა და შვედეთის პრაქტიკა ყველაზე ეფექტურად იქნა მიჩნეული: ამ ქვეყნებში ლტოლვილები, რომელთაც თავიანთი განათლების დადასტურება დოკუმენტურად არ შეუძლიათ, გამოცდების ჩაბარების გზით ადასტურებენ თავიანთ ცოდნასა და უნარებს, თუმცა მონაწილეები შეჯერდნენ, რომ ლტოლვილთა განათლების ალიარების ეს ფორმაც არ არის სრულყოფილი და დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

ენიკ-ნარიკის ქსელის 23-ე ყოველწლიურ შეხვედრაზე სამუშაო ჯგუფებში განხილულ იქნა ყალბი დიპლომების ალიარების შემთხვევების თავიდან აცილების მექანიზმები, ასევე ავტომატური ალიარების შინაარსი და დადებითი და უარყოფითი მხარეები.

შეხვედრის ფარგლებში გაიმართა დისკუსია გლობალური კონვენციის არსებობის საჭიროებაზე, ვინაიდან ლისაბონის კონვენცია მხოლოდ მის ხელმომწერ მხარეებს შორის არის ეფექტური, საერთაშორისო მობილობის არეალის გაფართოვებასთან ერთად კი წევს სახელმწიფოებს უმეტესაც ლისაბონის კონვენციის არაწევრ სახელმწიფოში მიღებული განათლების ალიარების საკითხებზე უწევთ მუშაობა. გლობალური კონვენცია, რომელიც არა მხოლოდ ევროპის, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიერ იქნება ხელმოწერილი და რატიფიცირებული, გაამარტივებდა ინფორმაციის გაცვლასა და ერთგვაროვანი ალიარების სტანდარტების დამკვიდრებას. გამოითქვა მოსაზრებებიც, რომ გლობალური კონვენციის


ტექსტის შედგენა და მიღება მრავალ წევრ სახელმწიფოს შორის კომუნიკაციის არაეფექტურობის გამო თითქმის შეუძლებელი იქნებოდა და შეუსაბამოს დიდ დროსთან, ხარჯებსა და ძალისხმევასთან იქნებოდა დაკავშირებული.

ენიკ-ნარიკის ყოველწლიურ შეხვედრას ესწრებოდნენ EQAR-ის წარმომადგენლები, რომლებმაც გამოხატეს მზადყოფნა თავიანთი საქმიანობა ენიკ-ნარიკის ქსელის საჭიროებებს მოარგონ.

5. სტუდენტთა მობილობა

ცენტრმა 2016 წელს ორჯერ - გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრებში განახორციელა მობილობის პროცესის ადმინისტრირება. მობილობის პორტალის მომსახურებით ისარგებლა 7 401 სტუდენტმა, აქედან მობილობის უფლება მოიპოვა 5 600 სტუდენტმა.

დიაგრამა 4. უსდ-ებში გამოცხადებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა და სტუდენტების მობილობის უფლების მოპოვება



სტუდენტთა მობილობის პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით 2016 წლის განმავლობაში ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის დახმარებით განხორციელდა ცვლილებები სტუდენტთა მობილობის აპლიკაციაში, მომზადდა და გამოქვეყნდა ელექტრონული პორტალის მოხმარების ახალი ვიდეო ინსტრუქცია.

2016 წელს დაიხვეწა ცხელი ხაზის მომსახურება მობილობის პროცესში. გამოყოფილ იქნა ერთი კონკრეტული ნომერი, რომელიც სამ სხვადასხვა ნომერზე ნაწილდება და ამავე დროს მომხმარებელს აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე თუ მერამდენა რიგის მოლოდინში; გადამუშავდა და დაიხვეწა ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მობილობასთან დაკავშირებით; სოციალურ ქსელში შემოსული არცერთი კითხვა არ რჩება პასუხგაუცემელი; მობილობის დაწყების წინ ტარდება ინტენსიური საინფორმაციო კამპანია ძირითადი სატელევიზიო არხების საშუალებით; სატელეფონო ზარებიდან გამომდინარე ტექნიკურად ნაკლები ხარვეზები ფიქსირდება; დაიხვეწა და გაუმჯობესდა ბაზაში არსებული რამდენიმე ფუნქციონალი; ინტენსიურად მიმდინარეობს ინდივიდუალური და სატელეფონო კონსულტაციები.

6. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოება

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის შემცველ მონაცემთა ბაზას, მასში აგრეთვე დაცულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, აკადემიური პროგრამების შესახებ ინფორმაცია. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს აწარმოებს როგორც ცენტრი, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებები. მონაცემები გამოიყენება მობილობის, გრანტების აღრიცხვისა და მათი განაწილების, სტუდენტთა დაზღვევისა და აგრეთვე სხვა პროგრამების განსახორციელებლად.

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დაცული მონაცემების სანდოობის ხარისხის გაზრდის მიზნით, ცენტრი რეგულარულად ახორციელებს სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებს საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. 2016 წლის განმავლობაში გამართულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 150-ზე მეტმა წარმომადგენელმა. ასევე, ჩატარდა სემინარები თემებზე „უსდ-ს მიერ მობილობის პროცესის ეფექტური ადმინისტრირება“ (სემინარი გაიარა 59 უსდ-ს 85 წარმომადგენელმა) და „სახელმწიფო სასწავლო/სოციალური გრანტების ეფექტური ადმინისტრირება“ (სემინარი გაიარა 57 უსდ-ს 85 წარმომადგენელმა).

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში არსებული მონაცემების სრულყოფისა და სიზუსტის მიზნით 2016 წლის განმავლობაში განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონიტორინგი სტუდენტების და საგანმანათლებლო პროგრამების პროფილებში არასრულად ასახული ინფორმაციის გამოსავლენად. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონიტორინგის შედეგად დამუშავებული ინფორმაცია დაეგზავნა 64 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას 22 298 სტუდენტის თაობაზე სტუდენტების პროფილში სრულყოფილი ინფორმაციის ასახვის მიზნით. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონიტორინგის შედეგად განხორციელდა 200-მდე საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ბაზაში არსებული ინფორმაციის სრულყოფა/დაზუსტება

7. პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარების 2013-2020 წლების სტრატეგიის ფარგლებში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2013 წლიდან 2016 წლის ბოლომდე ახორციელებდა „პროფესიული კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამას“, რომლის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მეთოდოლოგიის დანერგვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისა და რელევანტურობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა მოდულური, კომპეტენციებზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა. აღნიშნულის ფარგლებში პროგრამამ შეიმუშავა პროფესიულ სტანდარტები, საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები (სტანდარტული საგანმანათლებლო პროგრამები) და მოდულები, ასევე მათი შესაბამისი სასწავლო მასალები/სახელმძღვანელოები და გზამკვლევები. მოდულური პროგრამების დანერგვის პროცესის ხელშეწყობის მიზნით მუდმივად ხორციელდებოდა ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები ადგილზე და დისტანციურად.

2016 წელს შემუშავდა და დამტკიცდა 46 პროფესიული სტანდარტი (და შესაბამისი შეფასების სტანდარტები, როგორც პროფესიული სტანდარტების კომპონენტები), 29 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებისა და შესაბამისი მოდულები. ასევე, 28 სტუდენტის სახელმძღვანელო და მასწავლებლის 10 გზამკვლევი.

პროფესიული სტანდარტის, ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავებასთან დაკავშირებული მიდგომები განისაზღვრა პროფესიული სტანდარტის/საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულების შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის № 492 ბრძანებით, რომლის ცვლილებები განხორციელდა 2016 წლის 7 მარტის №145 ბრძანებით, 2016 წლის 4 აგვისტოს №733 ბრძანებით და 2016 წლის 2 ნოემბრის N1095 ბრძანებით. ასევე, 2016 წ. აგვისტოში განახლდა და ცენტრის დირექტორის 16 აგვისტოს N 794 (ცვლილება 15 დეკემბერი N1215) დამტკიცდა დარგობრივი საბჭოების ახალი შემადგენლობა.

2016 წლის 27-28 იანვარს და 22 სექტემბერს პროგრამის ეგიდით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ დარგობრივი საბჭოების წევრთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით გაიმართა საინფორმაციო სემინარები თემებზე: „დარგობრივი საბჭოების გაფართოებული როლი და ფუნქციები“, „პროფესიული სტანდარტების განხილვა-შეფასება“ და „პროფესიული კვალიფიკაციების განვითარებისა და განახლების მეთოდოლოგია“. პირველ სემინარში მონაწილეობა მიიღო დარგობრივი საბჭოების 62-მა წევრმა, ხოლო მეორე სემინარში - 69 წევრმა.

2016 წლის 11 ივლისს მოეწყო დარგობრივი საბჭოების მუშაობის ერთწლიანი პრაქტიკა-შეჯამების ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა ერთი წლის მუშაობის შედეგები

და განხილული იქნა საბჭოების განვითარების სამომავლო ხედვა. საბჭოს წევრებს გადაეცათ სერტიფიკატები.

სულ 2016 წლის განმავლობაში ჩატარდა დარგობრივი საბჭოს 34 სხდომა, სადაც განხილული იქნა 49 პროფესიული სტანდარტი, 34 საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი, 21 ინიცირება, 16 ზოგადი მოდული, 3 პროგრამაში ცვლილების შეტანის საკითხი, 37 პროგრამისთვის სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის შემუშავებული ტექნიკური აღჭურვილობის სპეციფიკაციების ბაზა, ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული 8 თემა, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში არსებული პროფესიულ სპეციალიზაციებთან დაკავშირებული 5 საკითხი. სულ საბჭოზე გატანილი საკითხებიდან 13 თემაზე საბჭომ არ გასცა დადებითი რეკომენდაცია, აქედან 5 უკან დაუბრუნდა ინიციატორს გადასამუშავებლად.

2016 წელს საგანმანათლებლო გარემოსა და მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების მიმართულებით განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის ტექნიკური აღჭურვილობის სპეციფიკაციების დოკუმენტის შექმნა-ფორმირება, შესაბამისი პროცედურების შემუშავება-დანერგვა. ასევე, უზრუნველყოფილ იქნა 2014-2015 წლებში შემუშავებულ 26 ჩარჩო დოკუმენტში მატერიალური რესურსის ტექნიკური შესწორებები, საჯაროდ განხილულ იქნა 35 ჩარჩო დოკუმენტის მატერიალური რესურსი და მათი მახასიათებლები.

2016 წლის თებერვალში შედგა საინფორმაციო შეხვედრები სახელმწიფო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დასანერგი მოდულური პროფესიული პროგრამების ნუსხის გაცნობის, დანერგვისთვის მათი ინტერესის იდენტიფიცირების მიზნით. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო დაინტერესებული სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების 61 წარმომადგენელმა. ასევე, 24 ნოემბერს შედგა შეხვედრა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, ვინც არ არის ჩართული მოდულური პროგრამების დანერგვაში. მონაწილეობა მიიღო 40-მა წარმომადგენელმა. დანერგვის პროცესის ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა და განხორციელდა მხარდაჭერის ღონისძიებები, მათ შორის პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგები მოდულური პროგრამების სწავლებისა და სტუდენტთა შეფასების საკითხებზე. დაწესებულებების მიერ მოდულების შინაარსის თაობაზე გამოთქმული შენიშვნების განხილვის მიზნით მოეწყო შეხვედრები და ცვლილებები განხორციელდა 22 პროგრამის მოდულებში, ასევე, 8 ზოგად სავალდებულო მოდულში.

2016 წლის 25 მაისს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ხარისხის სამსახურებისა და პროგრამების განვითარებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის პროგრამების განვითარებისა და ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგში მონაწილეობა 77 პირმა მიიღო.

გაეროს განვითარების პროგრამის „საქართველოში სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სერვისების მოდერნიზაციის პროექტთან“ და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან თანამშრომლობით მომზადებული აგრარული მიმართულების სამი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ 4 საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით მომზადდა მეხილეობის, მეცხოველეობის და მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამები დუალური მიდგომებით განსახორციელებლად და დაიწყო ამ პროგრამების დანერგვა 2016 წლის საშემოდგომო მიღებიდან. დუალური მიდგომით განხორციელებულ პროგრამებზე 4 საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა 60-მდე სტუდენტი.

შედეგად 2016 წლის საშემოდგომო მიღებაზე 27 სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებამ (მ.შ. 11 უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ) შეიტანა ანკეტა-კითხვარში 57 დასახელების 188 პროგრამა. აღნიშნულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირდა და ტესტირება გაიარა 3436 აპლიკანტმა, მოდულურ პროგრამებზე 2016 წლის საშემოდგომო მიღებისას სახელმწიფო დაწესებულებებში ჩაირიცხა 1936 სტუდენტი. კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2016 წელს მოდულურ პროგრამებზე ჩაირიცხა 176 სტუდენტი.

2016 წლის 23 დეკემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროფესიული რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპის შედეგების შეჯამების, არსებულ გამოწვევებზე რეაგირების და რეფორმის სამომავლო ნაბიჯების განხილვის, ასევე პროფესიული მოდულური განათლების პოპულარიზაციის მიზნით, შეხვედრა გამართა იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან, რომლებიც მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხნენ.

დანერგვის მხარდაჭერის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამა სისტემატურად ახორციელებდა დანერგვის პროცესის მონიტორინგს. მაის-ივნისსა და ოქტომბერ-დეკემბრის თვეში დანერგვის პროცესში ჩართულ 43 (პირველ ეტაპზე - 26) საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა მხარდაჭერისა და კონსულტირების 10 სპეციალისტის (პირველ ეტაპზე 36 სპეციალისტის) კონსულტირების 75 და მხარდაჭერის 154 ვიზიტი. ვიზიტებს წინ უძღოდა შიდა და გარე მხარდაჭერის სპეციალისტთა ტრენინგები 22 მარტს, 6 აპრილს, 27 აპრილს, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო შიდა და გარე მხარდაჭერის ჯგუფების 68 წევრმა. 2016 წლის თებერვალში მომზადდა 2015 წელს განხორციელებული მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერისა და კონსულტირების ვიზიტების ანგარიშების ანალიზი და გადაეგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს და დანერგვის მხარდაჭერ სტრუქტურულ ერთეულებს. ანალოგიური ანალიზები მომზადდა მაისის-ივნისისა და ოქტომბერ-დეკემბრის მხარდაჭერისა და კონსულტირების ვიზიტების საფუძველზე. ანალიზები განხილულ იქნა 18

მაისს და 9 სექტემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტსა და დანერგვის მხარდამჭერ სტრუქტურულ ერთეულებთან. ასევე, დანერგვაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებთან გამართულ რეგიონულ შეხვედრებზე. რეგიონულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 34 საგანმანათლებლო დაწესებულების 488 მასწავლებელმა.

დანართი 1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრუქტურა

